# დროება

## ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 10 შაბათი, 29 ნოემბერი 1908 წ. № 10



გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება რედაქტორთან ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.



განსვენებულის

ბარბარე ილიას ასულის რცხილაძის

სულის მოსახსენებლად ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 30 ნოემბერს, ქაშუეთის ეკკლესიაში. (2—უ—1)

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

შაბათს, 29 ნოემბერს, წარმოდგენა-გალა

„ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ღ ა მ ე“

მონაწილენი: ქ-ნნი არდი, ზასლავსკაია, კალინინა მეორე, ოსიპოვა, ფერარი; ბ-ნი დანილევსკი, ევლახოვი, ლუტჩევი, როზანოვი, ულუხანოვი და სხ.

დირიჟორი **ი. პ. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** 30 ნოემბერს ორი წარმოდგენა: დილით—„კარმენი“ და პროჟექტორი; საღამოთი „დუბროვსკი“. ორშაბათს წარმოდგენა ბებია-ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ—„პიკის მანდილოსანი“. ამ ცოტა ხანში ბენეფისი სარაჯიშვილისა.

**ექიმი** ვ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა გრიგ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—ნ.—10)

**ექიმი** ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ ამდუშელიშვილის სახლში, დილით —12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში მ. ი. ბ ე ბ ი შ ვ ი ლ ი იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—ნ—15)

**ექიმი** **ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—20)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ.—39)

**ექიმი** გ. ე. ხოჯაპარუხოვი ყოფილი ასისენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიღება სიფილისით, საშარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—4)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქ უ თ ა ი ს შ ი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და ორკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ყირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—79)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნი, N 9. (უ)

**სამკურნალო** ქუთაისში ქირურგიული და დედათა სნეულებისა ტერაპევტიულ განყოფილებით, მუდმივ საწოლებით და მშობიარეთა ოთახით **ექიმი ივ. ბოკერიასი** ამ წლის 10 ნოემბრიდან გადადის პრინცესა მიურატის სახლში, გიმნაზიის ქუჩაზე, სადაც წინად თიგურიას სამკურნალო იყო. (ნ—13)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**სამკურნალო** ქუთაისში, **ქირურგიული და დედათა სნეულებისა,** მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მშობიარეთა ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თიგურიას სამკურნალო იყო).

**ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე**—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

**ექიმი ივ. ბოკერია** —ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 3—6 ს. **რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. ექიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე. (25—ნ.—2)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ლ. ს უ ხ ა რ ე ვ ს კ ი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—37)

**გამოვიდა და იყიდება**

ბროშიურა **კიტა აბაშიძისა:**

„აკაკი წერეთელი“

(სალირიკო პოეზია)

**ფასი სამი შაური.**

(10—უ.—5)

გეომეტრი და მარკშაიდერი

**გ. ს. ასათიანი**

გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, გ. ს. ასათიანი. (0—ნ.—62)

შაბათს, 29 ნოემბერს, **ავჭალის სახალხო აუდიტორიაში** გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება პიესა

„უბედური ნაბიჯი“

3 მოქმ. დრამა—კარეევისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი თამარაშვილი, გოგოლაშვილი, ჩაგუნავა და მესხიშვილისა; ბ-ნი გუნია, ჯაბაური, ბაქრაძე და სხვანი.

(2—უ.—2) რეჟისორი **კ. ყიფიანი.**

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობა ამით აცხადებს, რომ განთავისუფლდა ერთი სტიპენდია

**ძმ. ზუბალაშვილებისა**

სტიპენდია მიეცემა ღარიბს ქართველს მოსწავლეს, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და წოდებისა, რომელიც 1) უკვე სწავლობს დაბალს ან საშუალო სპეციალ სასწავლებელში, ან 2) ახლა აპირებს ასეთს სასწავლებელში შესვლას.

თხოვნები სტიპენდიისათვის უნდა გამოიგზავნოს წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობის სახელზე, ტფილისში (Тифлисъ. Общество грамотности), არა უგვიანეს ამა წლის დეკემბრის 25-ისა.

თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს: ა) სასწავლებელი (და მისი სპეციალი განყოფილება), რომელშიაც სტიპენდიის მთხოვნელი სწავლობს, აგრეთვე კლასი, რომელშიაც არის; ბ) სასწავლებელი, რომელშიაც მთხოვნელს მიუღია მოსამზადებელი სწავლა, და ის სასწავლებელი (და მისი სპეციალი განყოფილება), რომელშიაც შესვლას აპირებს; გ) ოჯახური და ნივთიერი მდგომარეობა სტიპენდიის მთხოვნელისა.

თხოვნასთან წარმოდგენილი უნდა იქმნეს: ა) მოწმობა სასწავლებლის მთავრობისა, სადაც მთხოვნელი სწავლობს, ბ) მოწმობა იმ სასწავლებლისა, რომელშიაც მთხოვნელს მიუღია მოსამზადებელი სწავლა, თუ იგი ახლა შედის დაბალს ან საშუალო სპეციალს სასწავლებელში. (3—უ.—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**მეორე სამკითხველო**

ხელახლად გაიხსნა ვერაზე, წყნეთის ქუჩაზე. ყოველ დღე (გარდა დღესასწაულებისა) ღიაა დილით 10 საათიდან 2-მდე და საღამოთი 5—7 საათამდე. (2—უ—1)

„ტფილისის სოგრანიე“

შაბათს, 29 ნოემბერს, წევრთა, კანდიდატთა და მათ ოჯახთათვის ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**კოცნა პირველი და უკანასკნელი**

დრამა 1 მოქმ. **გ. გესი.**

II

„მშვენიერ ელენეს მაძიებელნი“

კომ 2 მ. **ა. ცაგარლისა.**

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი, გ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი, ქილარჯიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ნ. გვარამძე, გ. გედევანოვი, ი. ივანიძე, ი. ყიფიძე.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.** (1—642—1)

**ქართლის** საუფლისწულო მამულში არის გასასყიდი ათი ათასამდე ფუთი **თივა** ამა 1908 წლის მოსავლისა.

გაყიდვის პირობების გაგება შეიძლება მამულის სამმართველოში, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ქსნის სადგურზე. (3—643—1)

ქ. ქუთაისში

**თ. ა. მთავრიშვილის**

**წიგნის მაღაზიაში**

(ალექსანდრ. ქ. ბულვარის მახლობლად, დიმ. ზ. ბოკერიას შენობაში)

იყიდება ყოველგვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები.

სოფლის მასწავლებლებს, სოფლის სკოლებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ დაკლებულ ფასით.

აქვე იყიდება წიგნი **გუთანი,** ოჯახსა და სკოლაში ყრმათათვის საკითხავი, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ. ფასი 80 კ. (15—ნ.—13)


## ტფილისი, 29 ნოემბერი.

მკითხველთ ახსოვთ, ალბად, რომ წარსულ სესსიაში სათათბირომ კავკასიის საერობო ხარჯთ-აღრიცხვა მხოლოდ ერთის წლით დაამტკიცა ოთხის წლის მაგიერ. სათათბირო გაოცებული იყო ჩვენი ქვეყნის საერობო მეურნეობის სრულის დეზორგანიზაციით და ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ მეურნეობის მოწესრიგება მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა კავკასიაში საერობო თვითმმართველობა დაწესდებაო. სათათბიროს ასეთი დადგენილება მაშინ ბევრმა საიმედო სიმპტომად აღიარა: ეგონათ, რომ, რაკი უმრავლესობა მოწადინებული ყოფილა ერობა შემოიღოს განაპირა ქვეყნებში, მთავრობის სურვილიც ეს ყოფილაო და თვით-მართველობის განხორციელება მოახლოვებულია კავკასიაშიაცაო. ესეთი რწმენა იმდენად ბეჯითი და ძლიერი იყო, რომ საზოგადოებამ მალე არ არსებული ფაქტებიც-კი შეთხზა: ერობის პროექტები უკვე მზადაა, მთავრობამ კიდეც შეიწყნარაო და დღე-დღეზე წარედგინება სათათბიროსაო. სულ ერთი თვე არაა მას შემდეგ, რაც ჩვენი საზოგადოება ამ ფანტაზიებით იკვებებოდა. ნამესტნიკი იმიტომ იგვიანებს პეტერბურგში, რომ განზრახვა აქვს თვითონ დაესწროს თავის პროექტების განხილვას სათათბიროშიო. წინსვლის სურვილი ისე მძლავრია, ქვეყანა იმდენად მოწადინებულია რეფორმებს, რომ ადვილად იჯერებს ყოველ უბრალო ხმას და სინამდვილედ იჩნევს თავისავე ფანტაზიის ნაყოფს. ეხლაც-კი, მიუხედავად იმისა, რომ დანამდვილებით ვიცით ამ საქმის მდგომარეობა, საზოგადოება და ადგილობრივ პრესსის ერთი ნაწილი მაინც იმედს არ ჰკარგავენ, რომ ერობა ახლო მომავალში იქნება განხორციელებულიო.

„საქმის ნამდვილი მდგომარეობა“ კი სულ სხვას გვეუბნება. არც არავითარი პროექტი არ არსებობს და არც არავის სერიოზული განზრახვა არ ჰქონია ჩვენში ერობის დაწესებისა. ჩვენ ვამბობთ იმათზე, რასაკვირველია, ვისგანაც დამოკიდებულია ეს საქმე: ცენტრალურს მთავრობაზე, ადგილობრივ მმართველობაზე და თვით სათათბიროზე. ადგილობრივ მმართველობის უმაღლესმა წარმომადგენელმა თავის მოხსენებაში აღნიშნა ერობის საჭიროება, სათათბირომ აღნიშნა, რომ საერობო მეურნეობის გაუმჯობესება ერობას შეუძლიაო—ეს არის და ეს, როგორც ხედავთ, პლატონიური სურვილი, რომლის განსახორციელებლად ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ უფერულსა და გაუბედავს ნაბიჯს, როგორიც იყო გორში მომხდარი საერობო თათბირი...

საქმის ასეთი მდგომარეობა სავსებით შეეფერება იმ პოლიტიკურს ყოფას და სინამდვილეს, რომელშიაც დღეს არის რუსეთი. ყოველი მეთვალყურე კარგად ხედავს, რომ რეაქცია კი არ სუსტდება, დღითი-დღე ძლიერდება. შარშანდელთან შედარებითაც-კი საქმე პოლიტიკურის განახლებისა უარესად არის. შარშან ოქტომბრისტები (ვამბობთ წარსულ სესსიაზე) შავრაზმელთა მორჯულებას ჰფიქრობდნენ, ეხლა-კი სრულიად თვითონ დაემორჩილნენ მათ. „მავრი“ გაბატონდა და ეხლა თვით შეუდგა ოქტომბრისტების მორჯულებას. სათათბიროს ბატონი დღეს „მავრია“, რომელმაც ზომიერი მემარჯვენეები ხიდათ გადააქცია თვისსა და ოქტომბრისტებს შორის და ამ ხიდათ თავის ბანაკში გადმოიტრია ოქტომბრისტებიც. სათათბიროს გარედ ხომ „მავრი“ კარგა ხანია თავის დღეობას დღესასწაულობს... 17 ოქტომბრის მანიფესტის დაპირებათა განხორციელებაზე ეხლა ვინღა ოცნებობს! სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ მხარეში უკან-უკან მიდის რუსეთი და, ვინ იცის, იქნება სრულ რესტავრაციისაგანაც შორს არა ვართ, იქნება მალე „საბოლოო კაპიტულაციის“ მოწმენიც გავხდეთ.

ამისთანა დროს განაპირა ქვეყნის რეფორმებზე ლაპარაკი წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი. ნამეტურ კავკასიის რეფორმებზე,—იმ კავკასიის, რომლის სახელის გაგონებაც კი უსაზღვრო მძულვარებას იწვევს შავრაზმელთა ბანაკში. ადგილობრივ პრესსის ერთ ნაწილს და ჩვენის საზოგადოების ზოგიერთ ჯგუფს კი ჰგონიათ, რომ რეფორმების პრაქტიკული დაგვიანება თვით საზოგადოების ბრალი არის, რომელსაც დღემდის ვერ მოუხერხებია სათანადო პროექტების შემუშავება. ეს პრესსა ყოველ დღე „გულმოდგინეთა და ენერგიულად იწვევს“ საზოგადოებას პროექტის შესამუშავებლად, თითქო საქმე მართლა პროექტის შეთხზვაშია. ჯერ ერთი, განა ცხადი არაა, რომ დღევანდელს პოლიტიკურს პირობებში ოცნებაც კი არ შეიძლება იმაზე, ვითომ ჩვენ შიდა რუსეთში არსებულ ერობაზე უფრო ფართო და უფრო დემოკრატიული ერობა მოგვცენ. მაშ რაღა საჭიროა თავის-თავის მოტყუილება, ვითომ პროექტის დაუმზადებლობა აბრკოლებს საქმეს? საერობო დებულება არსებობს და მისი ბიუროკრატიული „შეთანხმება ადგილობრივ პირობებთან“ ხომ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს? შიდა რუსეთის საერობო თვითმართველობის რეფორმა, ცხადია, რამდენიმე წლით მაინც გადადებულია: ჯერ საგუბერნიო და სამაზრო მმართველობის რეორგანიზაცია უნდა მოხდესო, ბრძანა ამ დღეებში თვით მინისტრ-პრეზიდენტმა, და მერე მთავრობა შეუდგება ერობის რეორგანიზაციის **პროექტის** შემუშავებასაო! ვისაც ესმის ამ განცხადების მნიშვნელობა და ვინც ამასთანავე „რეალურ პოლიტიკის“ მიმდევარია, ის თავს აღარ იტეხს ახალ პროექტების შესამუშავებლად, პირდაპირ მოითხოვს—დღევანდელი საერობო დებულება გაავრცელეთ ამა და ამ ადგილასაო. ასე იყო, მაგალითად, ამ დღეებში, სათათბიროს ერთ-ერთ სხდომაზე, როცა ოპპოზიციის ორატორებიც-კი მოითხოვდნენ დღევანდელ ერობის შემოღებას არხანგელსკის და ასტრახანის გუბერნიებში და ციმბირს. ჩვენშიკი „რეალური პოლიტიკის“ მესვეურნი თავის თავს ატყუებენ, ვითომ პროექტის შემუშავებაა მხოლოდ საჭირო და ერობაც გამოცხვებაო. ჩვენ, რასაკვირველია, პროექტების შემუშავების წინააღმდეგნი არა ვართ და იმ აზრით არ ვლაპარაკობთ აქ, რომ ვისმეს ეს საქმე დავუშალოთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ტყუილია ის იმედი, ვითომც თანამედროვე რუსეთში „რეალურ პოლიტიკის“ ნიადაგი უკვე შემზადებულია...


◀ პოეტის ▶

**აკაკი წერეთლის იუბილეი**

კვირას, 1908 წლის დეკემბრის 7-ს

I

**დილის დღესასწაული**

1. დილის 10 ს. **აკაკი წერეთლის** ბინაზე შეიკრიბებიან არჩეული პატივისმცემელნი და მათის თანახლებით იუბილარი 10 ნახევარ ს. გაემგზავრება სიონის ტაძარში, სადაც გადახდილი იქნება პარაკლისი.

2. პარაკლისის გათავების შემდეგ იუბილარი დაბრუნდება სახაზინო თეატრში.

3. 12 საათზე სახაზინო თეატრის სცენაზე იუბილარი მიიღებს დეპუტაციებისაგან. დილის დღესასწაული გათავდება 4 ს. საღამოს იუბილარის სიტყვით.

II

**საღამოს დღესასწაული**

საღამოს 8 ნახევარ ს. სახაზინო თეატრში გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა.

**თამარ ცბიერი** — მეორე მოქმედება **პატარა კახი** — მეორე მოქმედება

**ცხოველი სურათი აპოთეოზი**

დეპუტაციები, რომელნიც ვერ მოასწრებენ დილით მილოცვას, მიულოცვენ იუბილარს საღამოთი, პირველსა და მეორე წარმოდგენას შუა.

ბილეთები სახაზინო თეატრში შესასვლელად როგორც დღის, ისე საღამოს დღესასწაულისთვის იყიდება წ.-კითხვის საზოგადოებაში. (5—უ.—4)

**თავად-აზნაურობის თეატრი**

**სეზონი 1908-9 წ.**

**ახლო მომავალში ქართულ დრამ. საზ. დასი დაიწყებს წარმოდგენების მართვას:**

**დ ა ს ი:**

ქ-ნნი: ბარათაშვილი ვ., კარგარეთელი ა. მ., მდივანი მ. დ., ნებიერიძე ვ. ბ., საგინაშვილი ა., ქილარჯიშვილი მ. გ., ჩერქეზიშვილი ე. ა., ჯავახიშვილი ნ. გ.; ბ-ნნი: აბაშიძე ვ. ა., გუნია ვ. ლ., გედევანოვი გ. ვ., გამყრელიძე ვ. მ., გვარამძე ნ. ს., ივანიძე ი. გ., იმედაშვილი ა. ს., იმნაძე გ., მესხი კ. ს., ყიფიძე ი. გ., საფაროვი ზ. მ., ურუშაძე ვ. ლ., შათირიშვილი კ. ნ., შალიკაშვილი ვ. ი., ხაზმელი ი.

**დრო გამოშვებით მონაწილეობას მიიღებენ:**

ქ-ნნი: აბაშიძე ტასო, გაბუნია-ცაგარლისა ნ. მ.; ბ-ნნი: სვიმონიძე ს. პ., ყიფიანი კ. დ.

**სუფლიორები:** ბეგლარიძე ბ., გურული გ.

**რ ე პ ე რ ტ უ ა რ ი:** **სამშობლო**—დ. ერისთავისა, **მეგობრობა**—ნ. შიუკაშვილისა, **ხელები**—ლემონიესი, თარგმ. ნ. ნაკაშიძისა, **სულელი**—ფულდისა, თარგმ. ვ. გუნიასი, **წინამძღოლნი**—ა. სუმბათაშვილისა, თარგმ. კ. მესხისა, **ღალატი**—ა. სუმბათაშვილისა, თარგმ. გ. ყიფშიძისა, **შლიუკი და იაუ**—ჰაუპტმანისა, თარგმ. ვ. გუნიასი, **სალხინო**—გადმოქართულებული ვ. ბარველისა, **მემკვიდრე პრინცი**—თარგმ. გ აბაკელიასი.

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყაზბეგი.**

რეჟისორი **ვ. ი. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ლ. ურუშაძე.**


## აკაკის იუბილეი

**აკაკის ფონდი.** ზოგიერთების მიერ გავრცელებულ ხმების უარსაყოფელად აკაკის მთავარი საიუბილეო კომიტეტი აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ: 1. აკაკის სალიტერატურო ფონდს არა აქვს დროებითი ხასიათი, იგი—მუდმივი დაწესებულებაა; 2. ამ ფონდისთვის ფული შეიკრიბება და ყოველ გვარი შემოწირულება მიიღება არა მარტო წელს, არამედ შემდეგაც, ყოველთვის. ამ ფონდის სასარგებლოდ გაიმართება ყოველწლიურად ტფილისში და სხვა ადგილებშიაც წარმოდგენები თუ საღამოები; 3. ამ ფონდით უწინარეს ყოვლისა დღეიდანვე უზრუნველ ყოფილი იქნება თვითონ აკაკი; 4. თუ ფონდი საკმაოდ გაძლიერდა და ეს შესაძლებელი გახდება, ფონდიდან დახმარება მიეცემა ქართულ ხელოვნების და მწერლობის ღარიბ მოღვაწეებს.

—

**მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოება.** კავკასიის მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების გამგე კომიტეტმა დაადგინა, მიულოცოს იუბილიარ მგოსანს 50 წლის მოღვაწეობა. ადრესის მისართმევად არჩეულ იქმნა განსაკუთრებული დეპუტაცია. დეპუტატებად მოჰყვნენ: მირზა ჯალილ მამედ ყული ზადე, ნაზარ ბეკ სულთანოვი, მამედ გარან იმამოვი და იუსუფ ბეკ ხონბუდაგოვი.

—

**შეწირულება ფონდისთვის.** გუშინ, 28 ნოემბერს, დავით სარაჯიშვილმა აკაკის მთავარ საიუბილეო კომიტეტს 500 მან. გაუგზავნა აკაკის ფონდის გასაძლიერებლად.

—

**ფილარმონიული საზოგადოება.** ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობამ დეპუტატებად

იუბილიარისთვის ადრესის მისართმევად აირჩია ი. ა. სულხანიშვილი, ზ. პ. ფალიაშვილი, ზ. ი. ჩხიკვაძე და დ. პ. ეპიტაშვილი. დეპუტატების მიერ ადრესის წაკითხვის შემდეგ საზოგადოების ხორო შეასრულებს რამდენიმე საეროვნო სიმღერას.

—

**ტფ. ვაჟთა პირველი გიმნაზია.** ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიის ქართველ მოწაფეების კრებაზე დაადგინეს: იუბილიარს მიართვან ადრესი; აგრეთვე პოეტის სახელობაზედ გამართონ გიმნაზიაში საღამო.

—

**სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოება.** „ვესტ. ბაკუ“-ს სიტყვით, სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების მთავარ კომიტეტს დაუდგენია, მიიღოს მონაწილეობა აკაკის საიუბილეო დღესასწაულში. უკვე აურჩევიათ დეპუტაცია.

**სოფ. ბოსლევი** (შორაპნის მაზრა). რამდენიმე წინასწარ კრების შემდეგ 24 ნოემბერს ბოსლევში მოხდა საზოგადო კრება, რომელიც ნება დართული იყო მაზრის უფროსისაგან. კრებას ბ-ნმა ან. აბაშიძემ განუცხადა: თუ თქვენ ორ-კლასიან სკოლასთან მგოსნის აკაკის სახელობაზე სამეურნეო განყოფილებას გახსნით, მე ყოველ წელიწადს ასას მანეთს შევწირავ ამ განყოფილებასაო. კრებამ ერთხმად მადლობა გადაუხადა და შეჰპირდა განყოფილების გახსნას.

ამის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა: იდღესასწაულონ სოფელ ბასლევში აკაკის იუბილეი; გაიმართოს ახლავე მთელ სოფელში, რკვიისა და ბოსლევის სადგურებზე რკინის გზის მოსამსახურეთა შორისაც ხელის მოწერა საფონდოდ ფულის შესაგროვებლად; გაიმართოს სალიტერატურო დილა სასწავლებელში მოსწავლეთა და მოზრდილათვის; პარაკლისის შემდეგ გაეგზავნოს იუბილიარს მისალოცი დეპეშა; ეთხოვოს ახლავე მთავარ კომიტეტს მგოსნის სურათი და წიგნაკები ხალხში გასავრცელებლად. ფიქრობენ აგრეთვე, დღესასწაული „პატარა კახის“ წარმოდგენით დაამთავრონ.

ამ დადგენილებათა სისრულეში მოყვანა დაევალა განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც მოჰყვნენ: ი. კაპანაძე, მ. მდივანი, ლომინაძე, ი. შევარდნაძე, ან. აბაშიძე, მღ. დ. სუხიაშვილი, მღ. ვ. აბულაძე, შიო ლოლაძე, გ. გუნცაძე, ვ. ქოჩლაძე, ნ. წულეისკირი, პ. კინწურაშვილი, ს. კაპანაძე. **ი. თ—რა.**

—

**ქალთა ამხანაგობის სახელოსნო.** ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნო სკოლის გამგეობამ 27 ნოემბერს საგანგებო კრებაზედ დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს აკაკის საიუბილეო დღესასწაულში და მიართვას იუბილიარს ადრესი. ამას გარდა დაადგინა, დაარსოს თავის სკოლაში ორი სტიპენდია აკაკის სახელობაზე.

# გაზაფხული

თავისუფალი თარგმანი

**(ჰეინედან)**

კვლავ ველ-მინდორი აყვავებულა,
სულ ყველა ჰხარობს, ელტვის სიხარულს;
მზე ცხოველ სხივით მაღლით დაგვცქერის...
სალამი ვუძღვნათ ტურფა გაზაფხულს!..
ბულბულო, გვესმის კვლავ შენი კვნესა
სასომიხდილი, თან აღგზნებ ული;
შენი ჰანგები მწარედ ჰგოდებენ....-
შენი სიმღერა არს სიყვარული!

* * *

ციდან ვარსკვლავნი გაზაფხულისა
გიალერსებენ, გაფრქვევენ სხივებს;
სიყვარულით ხარ დამცირებული
და სიყვარული კვლავ აღგამაღლებს!..
მწვანედ გადაშლილ ცაცხვის ტოტებში
ისმის საამო ხმა ბულბულისა;
და ის ტკბილი ხმა ღრმად გულსა სწვდება,
მომლხენი არის ობოლ სულისა!

* * *

ვეტრფი ყვავილსა, მაგრამ რა ფერსა, —
ეს მე არ ვიცი... იტანჯვის გული;
ვუმზერ ყვავილებს და მათში ეძებს
ერთგულ მეგობარს დაღლილი გული!
ჰკვნესის ბულბული, აღტაცებული,
გული მიუხვდა ხმასა მომხიბვლელს;
ვაგლახ ორივე თურმე განვიცდით
ერთგვარ ღელვასა და მწარე ნაღველს!..

* * *

ჰრელსა პეპელას უყვარს ყვავილი,
დიდი ხანია თავს დასტრიალებს;
მზე კი ზეციდან პეპელას ეტრფის,
სხივებსა აფრქვევს, ზედ დაჰქათქათებს!
მაგრამ ყვავილსა ნეტა ვინ უყვარს,
ან ვინ უტანჯავს გულს მგზნებარესა?
ბულბულსა შესტრფის ტრფობით აღვსილი
თუ ღამით მიმქრალს ვარსკვლავმთვარესა?
არა, არ ვიცი!.. მაგრამ ეს გული
ყველას შეჰხარის, ევლება თავსა:
მზის სხივს, ყვავილსა, ბულბულს, პეპელას
და სავსე მთვარეს ნისლში მცურავსა!..

* * *

ზღვის ტალღებში სავსე მთვარის
აჩრდილი ჰკრთის და ციმციმებს;
და თვითონ კი მედიდურად
ცის სივრცეში მისრიალებს!
ტურფავ, შენც ხომ ჰგევხარ მთვარეს,
ნათელსა და მოელვარეს;
შენი სახეც, სხივთ მფრქვეველი,
ნაზ გულში ჰკრთის და ციმციმებს!

* * *

ტყის ნაპირებზე ია მოვკრიფე,
განთიადისას შენ ერთს მოგიძღვნე;
და საღამოს ჟამს ეგ ნორჩი გული
ბნელით მოწყვეტილ ვარდით აღიგზნე.
მერე, მიმიხვდი რაც უნდა მეთქვა,
ჩემო ლამაზო, ამ გამოცანით?—
ერთგული უნდა იყო დღისითა
და წრფელი გულით გიყვარდე ღამით!..

**ა. შანშიაშვილი.**

## 1844 წ. გაუქმებული
# კაკის სამთავრო
**მცირე მიმოხილვა**

(შემდეგი *)

კაკის მთავრებს შემდეგში კავკასიის ვიწრო ხეობაში, კაკის ჩრდილოეთით ცალკე სოფელი დაუარსებიათ სასხლად ელისო, სადაც მრავალი სამკურნალო და სხვა წყაროებია და ამასთანავე მიუდგომელს ადგილას არის, იქ გადაუტანიათ თავიანთი რეზიდენცია, რის გამოც თვით სამთავროს შემდეგში ელისოს სამთავროს უწოდებდნენ.

ელისოს სასულთნო, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, დამოკიდებული იყო სპარსეთის შაჰისაგან, მისი მონა-მორჩილი და მისი ინტერესების დამცველი შორეულ საქართველოს ნაპირებზე. ასე იყო რუსების შემოსვლამდის ამიერკავკასიაში. როცა რუსეთმა ფეხი მოიმაგრა აღმოსავლეთ საქართველოში და სხვა ადგილების დაპყრობას მიჰყო ხელი, მაშინ კავკასიის მთავარმა გამგემ თავ. ციციშვილმა 1803 წელს მცირე ბრძოლის შემდეგ დაიპყრო ლეკების რესპუბლიკები ჭარ-ბელაქნისა, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდნენ კახეთსა და ქიზიყს. კაკის მაშინდელი მთავარი ახმედხანი შეშინებული რუსეთის ძლიერებით, თვითვე მიეგება რუსეთის მხედრობას და ქვეშევრდომობაზედ თანხმობა გამოუცხადა. ამ რიგად, ახმედხანმა კაკის სამთავრო ნება-ყოფლობით შეუერთა რუსეთს და ჩამოშორდა თავის ძველს ბატონ-პატრონს სპარსეთს; ამითი, რასაკვირველია, უნდოდა საკუთარის სამთავროს შენარჩუნება. ახმედხანი არც მოსტყუვდა, რუსეთის მთავრობამ პირობა ჩამოართვა ჭარ-ბელაქნელებს და სულთანს, რომ ისინი ამიერიდან მოსვენებას მისცემდნენ კახეთს, მოსპობდნენ აწიოკება-აკლებას, აღარ მისცემდნენ ბინას დაღესტნის ლეკთა ბრბოებს და ყოველწლივ გადაიხდიდნენ ხარკად 1000 ლიტრა აბრეშუმს ან 13,000 მანეთს, ე. ი. თვითეული მთაგანი — ჭარი, ბელაქანი და კაკის სულთანი — 4,400 მანეთს.

ასე იყო 1830 წლამდის, ამ წელს კი ლეკებმა აჯანყება მოახდინეს და შეწერილ ხარჯის ძლევაზედ უარი განაცხადეს. მაშინ რუსის მთავრობამ ომი დაუწყო ჭარ-ბელაქნელებს, სასტიკად დაამარცხა ისინი და რათა ლეკები მუდამ მორჩილებაში ჰყოლოდა, დაარსა ცალკე მმართველობა ჭარ-ბელაქნისა და რეზიდენცია დააწესა ზაქათალაში, სადაც ახალის ციხის აგებას შეუდგა.

ელისოს სასულთნო ამ აჯანყებაში არავითარს მონაწილეობას არ იღებდა და ამის გარდა, რადგან შეწერილს გადასახადს ხმა ამოუღებლივ იხდიდა, ამიტომ რუსეთის მთავრობამ იგი ძველს წესებში დასტოვა და მისი შინაური საქმეების გაძღოლა სულთანსვე მიანდო. მხოლოდ ის ცვლილება მოახდინა მართვა-გამგეობაში, რომ ძველი წესი სულთნების არჩევისა გააუქმა. უძველეს დროიდან სასულთნოში დაარჩენილიყო დაღესტნიდან ჩამოტანილი ადათი, რომლის ძალითაც სულთნობა ჩამომავლობით კი არ გადადიოდა შვილებზედ, არამედ თვით ჯამაათი ირჩევდა მთავარს გარდაცვალებულის შვილებისაგან ერთ-ერთს ან თუ შვილებში არავინ მოეწონებოდა, მაშინ მახლობელ ნათესავებში ირჩევდა. რუსეთმა ასეთი წესი შესცვალა, რადგან ამას მუდამ შური და დავი-დარაბა მოსდევდა. ასეთივე ამბავი მოხდა 1830 წელს. სულთნად იყო ხან-ბაბაბეგი, რომელიც ხალხმა ჩამოაგდო და გაასულთნა ახმედ-ხანი. ხან-ბაბაბეგს მიემხრნენ ჭარ-ბელაქნელნი და [illegible] ახმედ-ხანი, მაგრამ [illegible] მიეშველა რუსეთის მთავრობა და დაუმტკიცა მას მთავრობა. ამის შემდეგ რუსეთის მთავრობამ მემკვიდრეობითად გადასცა ელისოს სასულთნო*)

რუსეთის მთავრობის მიერ დამტკიცებული მთავარი ახმედ-ხანი მოკვდა და შვიდი-ვაჟიშვილი დარჩა. ყველაზედ უფრო წარჩინებული და რუსეთის მთავრობისაგან ცნობილი ამ შვილთაგან დანიელი იყო, რომელიც რუსეთის სამხედრო სამსახურშიაც იყო ნამყოფი და გენერლობაც ჰქონდა მიღებული. დანიელის დიდი ხნის სურვილს შეადგენდა სულთნობის მიღება, მისთვისაც იგი არაფერს საშუალებას არა ერიდებოდა. ბუნებითვე მკვირცხლი და შეუპოვარი, რომლისთვისაც შეუძლებელი არაფერი არსებობდა, გაბედულად ამზადებდა ნიადაგს ერთხელვე დასახულ მიზნის მისაღწევად.

მამის სიკვდილის შემდეგ დანიელმა თავისი თავი სულთნად გამოაცხადა და რადგან წინააღმდეგობის თქმა არავის შეეძლო, აძლია თხოვნა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ იგი დაემტკიცებინათ ელისოს მთავრად, და ფაქტიურად შეუდგა სამთავროს მართვა-გამგეობას.

მრისხანე, თავმოყვარე და შეუპოვარი დანიელი, ასეთივე იყო სასულთნოს გამგეობაში. ხალხის გადმოცემით დანიელ ბატონის (ასე ეძახდნენ ინგილოები) სამართალში შებრალება და პატიება არ ეწერა, ყველგან ულმობელ, წარმოუდგენელს სისასტიკეს იჩენდაო, რითაც თავზარს სცემდა ყველას. ასე გასინჯეთ ურჯულო ქურდობა რა არის, იმისთვისაც კი თვალებსაც სთხრიდა, ცხვირსა და ყურებს სჭრიდა ადამიანს, ტყუილის თქმელსა და ცრუს კიდევ—ენას, კაცის მკვლელს—ხელებს, მეძავ დედა-

*) იხ. „დროება“ N 9.

*) იხ: „Замѣтка о Закатальскомъ округѣ“ ბაქრაძისა.

# ფელეტონი

## უცხოეთა შორის

სწავლა-განათლება და უნივერსიტეტი ძველ ოსმალეთში.—შეურიგებელის შერიგება და სამოცი წლის იუბილეი.—ჩეხებისა და გერმანელების შეტაკება.—იტალიელებისა და გერმანელების შეტაკება.—ირლანდიელები და იძულებითი გამოსყიდვა მამულებისა.—სოციალისტური მთავრობა და მუშები—მინისტრები.

ოსმალეთში განახლებისა და აღორძინების საქმე ნელ-ნელა წინ მიდის. ბევრი, ძალიან ბევრი დაბრკოლება ეღობება ახალ ოსმალეთს, ფეხზე დადგნენ როგორც შინაური, ისე გარეშე მტრები, მაგრამ უკეთესს მერმისისათვის მებრძოლნი ჯერ-ჯერობით ადვილადა სძლევენ ყველა ამათ და მტკიცე ნაბიჯით წინ მიდიან. ახალგაზრდა ოსმალნი ყველაფერს გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს და სცდილობენ წვრილმანიცკი ხელიდან გამოჰგლიჯონ ხალხის მტრებს. თავის-თავად აშკარაა, რომ უყურადღებოდ ვერც ისეთ დიდ საქმეს დასტოვებდნენ, როგორიც სწავლა-განათლების საქმეა.

ძველ ოსმალეთს, როგორც ყველა ძველ მთავრობას, რომლის ბატონობაც ძალ-მომრეობასა და მტარვალობაზეა დამყარებული, ყველაზე მეტად სწავლა-განათლებისა ეშინოდა. სულთანსა და იმის მახლობლებს კარგად ესმოდათ, რომ პირველი მათი მტერი განათლებაა, რომელიც თვალს აუხვევს ხალხს და დაანახვებს მათ ათას უსამართლობას და სისაძაგლეს. სწორედ ამიტომ ყოველის საშუალებით სცდილობდნენ განათლების შუქი არ შეეშვათ თავიანთ საბრძანებელში.

მაგრამ ამავე დროს ჰგრძნობდნენ, რომ თავიანთ თავისა და არსებობის დასაცველად საჭიროა ევროპიულ მეცნიერების ნაგლეჯები მაინც, ევროპიული ტეხნიკა; ხედავდნენ, რომ დღეს უამისოდ სახელმწიფო ვერ იბოგინებს. ამიტომ იძულებულნი ხდებოდნენ, რაიმე სასწავლებლები მაინც დაეარსებინათ ამ [illegible] და პრაქტიკული საქმისათვის [illegible].

ამ აზრით აარსებდნენ სამხედრო და სხვა სასწავლებლებს; მაგრამ უპირველესი ყურადღება ამ სასწავლებლებში მაინც იმაზე იყო მიქცეული, რომ თავისუფალ სულს არ გაეჭაჭანა იქ. როგორც ყველა სხვა დაწესებულება, ეს სასწავლებლებიც სავსე იყო ჯაშუშებით.

სხვათა შორის სულთანმა უნივერსიტეტიც დაარსა, მაგრამ ვაი ამ უნივერსიტეტს! თავშივე გამოაცხადეს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი სამეცნიერო სასწავლებელი არავის ეგონოთ, ეს ისეთი დაწესებულებაა, სადაც სახელმწიფოსთვის პრაქტიკული მოღვაწენი უნდა მომზადდნენო. დააწესეს უსასტიკესი კონტროლი, ყველაფერი წინდა წინვე ივარაუდეს და გაზომეს; სხვათა შორის უნივერსიტეტში აკრძალეს რაიმე კორპორაციის შექმნა, როგორც სტუდენტების, ისე პროფესორების მხრივ. სიფრთხილისთვის ფაკულტეტები ცალ-ცალკე გამართეს, ხოლო პროფესორებად მოხელეები დანიშნეს. იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგალითად, ლექციებს მოსამართლენი კითხულობდნენ, ხოლო საექიმოზე — სანდო ექიმები. კარცერი ერთნაირად არსებობდა როგორც სტუდენტებისა, ისე პროფესორებისთვის. საკმაო იყო, სულ უბრალო რამ, რომ პროფესორებისთვის კარცერში ეკრათ თავი. უნივერსიტეტში ბიბლიოთეკის ჰაჰანება არ იყო. იურიდიულ ფაკულტეტზე პროფესორებს აკრძალული ჰქონდათ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დაწესებულებათა აღწერა და შესწავლა...

ასეთი იყო ეს ვითომდა მეცნიერების ტაძარი. ადვილად მიჰხვდებით, რა სწავლას და ცოდნას გაავრცელებდა ამ გვარი უნივერსიტეტი.

როგორც თავშივე ვთქვით, ახალგაზრდა ოსმალთა პარტიამ სწავლა-განათლებასაც მიაქცია ყურადღება. ჯერ-ჯერობით, წმინდა პოლიტიკურ საქმეებში გართულს, პარტიას საკმაო დრო არა აქვს ამისთვის, მაგრამ ახლო მომავალში განზრახული [illegible] სწავლა-განათლების სისტემის ახალ ნიადაგზე დაყენება. მაგრამ ზემოხსენებულ უნივერსიტეტის მცირედი რეორგანიზაცია მაინც მოაწყო ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტმა. ამ კომიტეტის მეცადინეობით უნივერსიტეტში შესცვალეს სწავლის სისტემა, დანიშნეს ახალი პროფესორები და წელსვე მიიღეს ორი ათასამდე სტუდენტი (წინად სტუდენტების რიცხვი განსაზღვრული იყო — ხუთას კაცზე მეტს არ იღებდნენ).

* * *

უნივერსიტეტისთვის მარტო ოსმალეთში არ იბრძვიან. სწორედ ამ საუნივერსიტეტო საკითხის გამო ოსმალეთის მეზობელ ავსტრიაში დღეს ერთი ალიაქოთი და აურზაურია.

მეტად საინტერესო სურათს წარმოადგენს ამ ჟამად ავსტრია. თითქმის არც ერთი კუთხე არ არის ამ სახელმწიფოსი, სადაც ბრძოლა და შეტაკება არ იყოს. ჩეხია, ტრიენტი, ბოსნია-ჰერცოგოვინა, სერბებით დასახლებული პროვინციები — ყველგან ხალხი ბობოქრობს და იბრძვის ეროვნულ უფლებებისათვის. ტყუილად კი არა სთქვა ამას წინად გადამდგარმა მინისტრ-პრეზიდენტმა ბეკმა: „ჩვენისთანა გაჭირვებაში არც ერთი მთავრობა არ არის—უნდა შევაერთოდ და შევათანხმოთ რვა ეროვნება, ჩვიდმეტი ქვეყანა, ოცი პარლამენტი და ოცდა-შვიდი პოლიტიკური პარტია“. დიაღ, ძნელია შეთანხმება და შერიგება იქ, სადაც მთავრობის პოლიტიკა, სხვა უბედურების გარდა, ერთის ერის გაბატონებასა და სხვა ერების დაჩაგვრაზეა დამყარებული. ავსტრიაში კი იმ თავით ამ თავამდე მთავრობა მხოლოდ ერთსა სცდილობდა: გერმანელ ერი კისერზე დაესვა სხვა ერებისათვის — ჩეხებისა, სერბებისა, იტალიელებისა, სლოვენებისა, რუსინებისათვის.

ამ ორიოდე დღის წინად ოფიციალურმა ავსტრიამ იდღესასწაულა იმპერატორის ფრანც-იოსების სამოცი წლის მეფობა. იმპერატორს ქებათა-ქება შეასხეს. ვინ იცის, რათ [illegible] ყოფილა, თავ-გამოდებული კონსტიტუციონალისტიც, ლმობიერიც, კაცთ-მოყვარეც. მაგრამ ავსტრიაში ბევრს ახსოვს რა მოხდა ამ სამოცი წლის წინად, როდესაც 1848 წელს რევოლიუციამ იფეთქა. ფრანც-იოსები, თვრამეტი წლის ყმაწვილი, ის იყო ტახტზე ავიდა. რევოლიუცია იმარჯვებდა. მაგრამ დაუბერა რეაქციის ძლიერმა ქარმა და მთელი ავსტრია სისხლით მოირწყო.

განვლო სამოცმა წელიწადმა. ისტორიამ თავისი ჰქნა: უნგრეთმა სრული თავისუფლება მოიპოვა. ჩრდილოეთი იტალია სულ ჩამოშორდა ავსტრიას. ჩეხებმა და ზოგიერთა სხვა ერებმა ცოტად თუ ბევრად თავისუფლად ამოისუნთქეს. ყველა ეს ბრძოლით მოხდა, ყველა ამან უთვალავი ხალხი იმსხვერპლა და უზომო სისხლი შეიწირა, და ეხლა გამოდის, რომ ფრანც-იოსები ყველა სიკეთით ყოფილა შემკული...

დღევანდელი პოლიტიკაც პირდაპირი გაგრძელებაა სამოცი წლის პოლიტიკისა, ხოლო ბრძოლა, რომელსაც ეხლა ავსტრიაში ვხედავთ—მისი შედეგია.

* * *

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჩეხიაში საქმე ძალზე გამწვავდა. ასე გასინჯეთ, სამხედრო წესებიც-კი გამოაცხადეს. მიზეზი სამხედრო წესების შემოღებისა შეტაკება იყო, რომელიც გერმანელებსა და ჩეხებს შორის მოხდა.

ერთ-ერთ წინა ფელეტონში უკვე ავღნიშნეთ, რომ შეტაკება გერმანელებსა და ჩეხებს შორის ჯერ ისევ სეიმში დაიწყო, სადაც გერმანელებმა ობსტრუქცია გამართეს. მთავრობამ სეიმი დაკეტა. ამას ზედ დაერთო ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთება. ჩეხებმა დემონსტრაციები გამართეს და პროტესტი განუცხადეს მთავრობას როგორც ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთებისათვის, ისე სხვა უსამართლო საქმეებისთვის. ეს იწყინეს გერმანელებმა და თითონაც გამართეს დემონსტრაციები ჩეხების წინააღმდეგ. [illegible] სადაც-კი ხალხს შეტაკება უხდებოდა პოლიციასთან.

საქმე გერმანელმა სტუდენტებმა დაიწყეს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩეხების სატახტო ქალაქს პრაგაში ორი უნივერსიტეტია, ერთი ჩეხებისა, მეორე გერმანელებისა. თვით პრაგაში სამასი ათასი ჩეხი სცხოვრობს, მაშინ როცა გერმანელი ორმოცი ათასი ძლივს არის. ჩეხების უნივერსიტეტში შვიდი ათასი სტუდენტი სწავლობს, გერმანელებისაში-კი მხოლოდ — ათასი. ჩეხები ოცი წელიწადია თხოულობენ მეორე უნივერსიტეტის დაარსებას მორავიაში, მაგრამ მთავრობა არ ისმენს მათ ვედრებას. ყველა ეს, რასაკვირველია, ხელს უწყობდა და უწყობს ჩეხების უკმაყოფილებას, მით უმეტეს, რომ გერმანელი სტუდენტები ხშირად ცეცხლზე ნავთ ასხამენ და ამწვავებენ საქმეს.

ამათვე შეუწყეს ხელი უკანასკნელ შეტაკებას. გერმანელი სტუდენტები კარგა ხანი ემზადებოდნენ სადემონსტრაციოდ. მათ საკუთრივ გერმანიიდან დაიბარეს სტუდენტები. პირველი შეტაკება 17 ნოემბერს მოხდა, დილის 11 საათზე, იმ ქუჩაზე, სადაც ეგრედ წოდებული „გერმანელთა სახლია“. ამ სახლის გვერდზეა შესანიშნავი, ისტორიაში ცნობილი სასტუმრო „ლურჯი ვარსკვლავი“, რომლის აივანიდანაც 1848 წელს ბაკუნინმა რევოლვერი გაისროლა და ამით ნიშანი მისცა ივნისის რევოლიუციის დასაწყებად.

აი, სწორედ ამ ქუჩაზე დაიწყო შეტაკება. ხსენებულ დღეს გერმანელი სტუდენტები გამოეწყვნენ თავიანთ კორპორაციების ტანისამოსში და ერთად გამოვიდნენ ქუჩაში. როგორც ამბობენ, ერთ სტუდენტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია ქუჩაში მდგომ ჩეხებისთვის. ამათ სწყენიათ ეს, მიჰვარდნიან სტუდენტებს და ვინც ჩაუგდიათ, უცემიათ. გერმანელებმა მთავრობას შესჩივლეს, თანაც განაცხადეს, პოლიცია ჩეხებს ეხმარება და გთხოვთ, ჟანდარმები გამოიყვანოთ ჩვენ დასაცველადო. მართლაც გამოიყვანეს ქუჩებში ჟანდარმები. ამ ამბავმა ძალზე გააბრაზა ჩეხები. იგრიალა მთელმა ქალაქმა. ერთი საათის შემდეგ ქუჩები ხალხით გაივსო. ჩეხებს ხელმძღვანელობდა რადიკალურ პარტიის მეთაური დეპუტატი კლოფაჩი. ჩეხებმა ქვები დაუშინეს გერმანელთა კლუბს, სცემეს რამდენსამე გერმანელს, ჩაამტვრიეს ფანჯრები გერმანელების მაღაზიებში და სხვა. საღამოთი კვლავ მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც სროლა ასტყდა ჟანდარმებსა და ხალხს შორის. დაიჭრა ოთხმოცამდე კაცი, ზოგი მძიმედ.

მეორე დღეს სამხედრო წესები გამოაცხადეს.

* * *

უფრო სამწუხარო შედეგი მოჰყვა იმ შეტაკებას, რომელიც ვენის უნივერსიტეტში მოხდა გერმანელ და იტალიელ სტუდენტთა შორის. ეს შეტაკება იმ ნიადაგზე მოხდა, რა ნიადაგზედაც საზოგადოდ ასეთი შეტაკებები ხდება ავსტრიაში.

სამხრეთ ავსტრიაში კარგა ბლომა იტალიელი ცხოვრობს. მთელი პროვინცია ტიროლი და დალმაციის სანაპირო იტალიელებით არის დასახლებული. ათ წელიწადზე მეტია, რაც ეს იტალიელები საკუთარ უნივერსიტეტს თხოულობენ. რამდენს არ ეცადნენ, მაგრამ ვერას გახდნენ. ამ რამდენიმე წლის წინად იტალიის მთავრობაც-კი ჩაერია საქმეში და შეუთვალა ავსტრიას—თუ გინდა მაკედონიის საკითხში დაგეხმარო, ტრიესტში უნივერსიტეტი გახსენიო. 1905 წ. იტალიელმა და ავსტრიელმა სოციალისტებმა პირობა დასდეს, იბრძოლონ ტრიესტის უნივერსიტეტისთვის. ბოლოს, ორი წლის წინად ინსბრუკის უნივერსიტეტში შეტაკებაც მოხდა იტალიელ და გერმანელ სტუდენტებს შორის. მთავრობამ მაშინ დაჰკეტა ინსბრუკის უნივერსიტეტში იტალიელებისთვის არსებული იურიდიული ფაკულტეტი და დაჰპირდა ტრიესტში დამოუკიდებელ ფაკულტეტს გახსნის. დაჰპირდა, [illegible] რეთვე იტალიაში სწავლა [illegible] ბულთათვის მცირე [illegible]

...ებს ტომრებში ჰყრიდა, შიგ კატებს უსხამდა და ისე სტანჯავდა. ასეთი ბარბაროსული სასჯელი იცოდა დანიელმა, ირგვლივ მისის შიშით ყველა ღრტვინავდა და ძარწოდა. თუმცა კი, ატყვიან ხოლმე მოხუცები, რომელთაც კარგად ახსოვთ დანიელის დრო, ქურდობა, საქონლის პარვა იმ ზომამდის მოისპო, რომ საქონელი მთელის დღეობით გაშვებული უპატრონოდ ია-ლაღზედ, ვერავინ ხელს ვერ ახლებდა ნადირის მეტი. დანიელის სისასტიკეს საზღვარი არა ჰქონდა, ქალის გათხოვება, ცოლის შერთვა დანიელ ბატონის დაუკითხავად არავის შეეძლო, კაი შვილი იქნებოდა და გაჰბედავდა ვინმე ამის ჩადენას. ყველა ამისთვის საჭირო იყო დანიელის ლოცვა-კურთხევა, რომელიც იმაში მდგომარეობდა რომ დანიელისათვის კარგა დიდი სასყიდელი უნდა მიერთმიათ ფულით თუ ხორაგეულობით. მისცემდა ყველა ამასათ, ამბობენ მოხუცნი, მაგრამ დარწმუნებული არ იყო ადამიანი, რომ ხვალ იმ ქალს ხელიდან არ გამოჰგლეჯდნენ დანიელისავე ბრძანებით. საკმაო იყო, მისულიყო სხვა ვინმე და ძღვენი მიერთმია დანიელისთვის, რომ ბრძანება გაეცა, ქალი ახლა ამას მიათხოვეთო.

ედილი.

(დასასრული ზვალ)

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმე.** გუშინ, 28 ნოემბერს, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო შეუდგა განხილვას დუშეთის მაზრის მცხოვრებთა—თედო ლაბაურისა, გიგოლა მოძღვრიშვილისა და გიორგი ხიზანაშვილის საქმისას. ამათ ბრალდებათ 1907 წელს 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის თავდასხმა საგურამოს გზაზე და მოკვლა თვით ჭავჭავაძისა და მისი მსახურის იაკობისა. სასამართლოს სხდომა დაიწყო დილის 11 ნახ. საათზედ და გაგრძელდა საღამოს 6 საათამდე. გამოჰკითხეს 7—9 მოწამეს. სასამართლოში გარეშე ხალხიდან ორი კაცის მეტი არ დაესწრო, თუმცა ყველას შეუძლიან დასწრება. დაწვრილებით ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ ჩვენს გაზეთში.

**შეწირულება.** განსვენებულ პროფესორის ვ. პეტრიაშვილის ქვრივმა ეკატერინე ყარამანის ასულმა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას აცნობა ადესიდან, რომ იგი პროფესორის სამეცნიერო ბიბლიოთეკას სწირავს წ.-კითხვის საზოგადოებას.

**საეგზარხოსოს გაუქმების შესახებ.** „ბაქ. ეხოს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „ამ დღეებში სინოდში გაირჩევა საკითხი საქართველოს საეგზარხოსოს გაუქმების შესახებ.“

**პურიშკევიჩის დეპეშა კავკასიაზე.** კიევში ამ ჟამად მონარქისტთა კრებაა. დეპუტატ პურიშკევიჩს, ბაქოს გაზეთების სიტყვით, შემდეგი დეპეშა გაუგზავნია ამ კრებისთვის: „ევედრეთ ხელმწიფეს, გადაარჩინოს კავკასია, რომელიც ადგილობრივ მოხელეთა წყალობით, რუსეთს ხელიდან ეცლება.

**ისტორიული საღამო.** „განათლების“ საზოგადოება, თავის ახლად გახსნილ ქალთა სკოლის სასარგებლოდ, 29 დეკემბერს მართავს „ისტორიულ საღამოს“. სცენაზე წარმოდგენილი იქნება სცენები სხვა და სხვა ეპოქიდან. იქნება აგრეთვე სიმღერები და ცეკვა. როგორც გავიგეთ, საღამო საინტერესოდ იქნება მოწყობილი.

**მიწის-ძვრა.** 27 ნოემბერს დილით ტფილისში მიწა იძვრა. როგორც გვატყობინებენ, მიწის-ძვრა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ყველგან მომხდარა. ჭიათურაში, როგორც ამბავი მოვიდა, სახლებიც დაქცეულა.

**ფული სწავლა-განათლებისთვის.** წინა წლებში სწავლა-განათლებაზე ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდან იხარჯებოდა წელიწადში 154,990 მანეთი. ეხლა ამავე საქმისათვის კავკასიის მთავრობა 340,129 მანეთს თხოულობს.

**უმაღლეს კურსებზე.** დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრეს ბაღი) სტ. ლისიციანი განაგრძობს ლექციას შემდეგის სათაურით: „ურარტელების ხანა სომხეთის ისტორიაში“.

**ლექცია.** სახალხო უნივერსიტეტის მონდობილებით, კვირას, 30 ნოემბრის, ა. ი. ხატისოვი პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკაში წაიკითხავს ლექციას ამ თემაზე: „ტფილისის საქალაქო მეურნეობა“ ლექცია დაიწყება დილის 11 საათზე.

**სამღვდელოება.** 27 ნოემბერს საღამოთი ტფ. სამღვდელოების ერთ ჯგუფსაც ჰქონდა მოლაპარაკება. გამოსთქვეს, პარაკლის დაესწროს მთელი სამღვდელოება და იუბილიარს ადრესთან ერთად მიართვას მოოქრილ ყდიანი სახარება. საბოლოოდ ამ საქმის გადასაწყვეტად კიდევ მოხდება კრება.

**მოხუც ქვრივის მოკვლა.** გუშინ, 28 ნოემბერს, აღმოაჩინეს, რომ სასამართლოს ქუჩაზე საკუთარ სახლში ვიღაცეებს ყელი გამოეჭრათ შეძლებულ ქვრივის (60 წლისა) ტერ-აკოფოვისათვის. ტერ-აკოფოვის სამ სართულიან სახლში მრავალი მდგურია, მაგრამ ღამე ვერავის ვერ გაეგო, როგორ შეპარულიყვნენ მკვლელები ტერ-აკოფოვთან. დილის 9 საათზე მეეზოვეს ქუჩიდან შეუნიშნავს, რომ შესასვლელი კარები ღია იყო. როდესაც ქვრივის ბინაში შესულა, უნახავს შემზარავი სურათი: ყელგამოჭრილი ქალი პირდაღმა ეგდო თურმე, სისხლის მორევში. სახლი აფორიაქებული აღმოჩნდა. მოვიდა პოლიცია და შეუდგა გამოძიებას. ჯერ არ იციან მიზეზი მკვლელობისა. აკოფოვისა მარტო სცხოვრობდა. ერთი შვილის მეტი არ ჰყავდა და ისიც საზღვარ-გარედ არ ს. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

**სექციები.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ 27 ნოემბერს განიხილა თავმჯდომარის გ. ნ. ყაზბეგის მოხსენება სექციებად დაყოფის შესახებ და დაადგინა, გამგეობა გაიყოს სამს სექციად: ადმინისტრატიულ, სასკოლო და ისტორიულ-საარქეოლოგიო სექციად. სექციებისათვის ინსტრუქციები შემდეგ იქნება შემუშავებული.

**თეატრის დათვალიერება.** 27 ნოემბერს ტფ. საგუბერნიო ინჟინერის მეთაურობით განსაკუთრებული კომისია შეუდგა ქართულ თეატრის ახალ შენობის დათვალიერება—შემოწმებას. კომისიამ მოასწრო შენობის ერთი ნაწილის დათვალიერება. დათვალიერებას განაგრძობენ დღეს, 29 ნოემბერს.

**კონცერტი.** საოპერო არტისტმა ივ. სარაჯიშვილმა ითავა მომავალს კვირაში გამართოს ტფ. საარტისტო საზოგადოების დარბაზში კონცერტი, რომლის შემოსავალი გადაიდება წერა-კითხვის საზოგადოების და ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სასარგებლოდ.

**სესხის გადახდა.** ტფ. გუბერნატორს და დაზარალებულთა დამხმარებელ საგუბერნიო კომიტეტს მრავალი შუამდგომლობა მოსდის გუბერნიის სხვა და სხვა სოფლის საზოგადოებისაგან. თხოულობენ, გადაიდოს სესხის გადახდა. თავიანთ შუამდგომლობას საზოგადოებანი ასაბუთებენ იმითი, რომ წელსაც ნაკლები მოსავალი იყოო.

**ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სხვა და სხვა დადგენილებათა დარღვევისათვის მიესაჯათ საგენ.-გუბერნატოროდან გადასახლება: ოვანეს გულიევს, რაჰველს პეტრე დარახველიძეს, პეტროს ფილაიანცს; დაჯარიმებულ იქმნენ: კონსტ. ინაევი, გრიგ. მარტიროსოვი, ალექსი ფოფხაძე, ალექს. კაბულაშვილი, ლევან აბრამოვი, კ. ქურხული, დავით დავლიანიძე, სარა ჩერნიკოვა, იოსებ დარახველიძე, ზაქარია ლიბაური, ივანე ზლობინი, რომან ბაკურიძე და ივანე გონრაძე.

ტფილისის მაზრის სოფელ გარდის უბანში შინაურ საქონელს ჭირი გაჩენია.

---

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში რედაქციის მიმართ დაბეჭდილ წერილში შეცდომა შეპარულა. დაბეჭდილია; „ქაღალდები მართლაც აღმოჩნდა მამა ნიკიფორეს ოთახში და მასთან ერთად აღმოჩნდა კიდევ 170 მანეთი ფული“. უნდა იყოს 470 მანეთი.

## ქუთაისი

**ორი ტუსაღის მოკვლა და ერთის დაჭრა.** „კავ.“-ში დაბეჭდილია წერილი ქუთაისში მდგომ ბესარაბიის პოლკის უფროსისა. ავტორი წერილისა ასწორებს იმ შეცდომას, რომელიც შეპარულია სააგენტოს დეპეშაში ქუთაისის ციხეში მომხდარ სროლის შესახებ. პოლკის უფროსის სიტყვით, იარაქ სალითს რამდენჯერმე გაუფრთხილებია ტუსაღები, მერე ერთხელ უსროლია და ორი ტუსაღი მოუკლავს, ხოლო ერთი დაუჭრია.

**პოლიტიკური საქმე.** 24 ნოემბერს ქუთაისში ტფ. სასამართლო პალატის სესიამ განიხილა საქმე კილაძისა, კაკაბაძისა, შავლაკაძისა და გენდრეხაძისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ არა-ლეგალურ პროფესიონალურ საზოგადოების შედგენა და

გაფუცვეს მოწყობა ფორუმის [illegible] ვი-ქვის სამრეწველო [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილები

**ქ. თელავი.** ვისაც-კი ზაფხულობით თელავში უცხოვრია, მას უეჭველად ეცნობება გოგლა ყაზახაშვილი, როგორც ერთი ინიციატორთაგანი, გულშემატკივარი და დაუღალავი მუშაკი ყველა საზოგადო საქმეში. ზაფხულობით ვამბობ იმისთვის, რომ, სხვა დროს სწავლა-განათლების საქმეში გართული, მხოლოდ ზაფხულობით ბრუნდებოდა და ნატრობდა იმ დროს, როცა საბოლოოდ დაბრუნდებოდა სამშობლოში, მაგრამ ულმობელმა სენმა არ დააცადა და ჯერ ისევ სიცოცხლის დროსვე ჩამოაშორა ყველა საქმეს. როგორც მკითხველთ ახსომებათ, ყაზახაშვილი 31 ოქტომბერს გარდაიცვალა ტფილისში.

16 ნოემბერს თელავის საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. მიუხედავად კოკის-პირულ წვიმისა, ხალხი საკმაოდ დაესწრო. პანაშვიდის შემდეგ დ. შიუკაშვილმა ლექსი წაიკითხა.

# ოსმალეთი

**უთანხმოება ბერძნებსა და ახალგაზდა ოსმალთა შორის.**

უკვე ვიცით, რომ სტამბოლში საპარლამენტო არჩევნის დროს უთანხმოება მოხდა ახალგაზდა ოსმალებსა და ბერძნებს შორის. „რეჩ“-ის სტამბოლელი კორესპონდენტი დაწვრილებით აწერს სტამბოლის არჩევნებს და ბერძენ-ოსმალთა უთანხმოებას.

ჯერ საქმე ჩინებულად მიდიოდა, მაგრამ 7 ნოემბერს საღამოთი ბერძნებმა დაიწყეს ბუზღუნი და დემონსტრაციის გამართვა გადასწყვიტეს. მაგრამ გვიან იყო, სტამბოლში ღამით ძლიერა ბნელა, დემონსტრაციისთვის კი აუცილებელია სინათლე. ამიტომ ბერძნებმა სადილოდ გადადეს დემონსტრაცია.

8 ნოემბერს დილით ადრე პერაში (ბერძნების უბანია) ყველგან ისმოდა

---

წესებას, მაგრამ აგერ გავიდა ორი წელიწადი და დაპირება დაპირებად დარჩა.

ამ ორი წლის განმავლობაში იშვიათი იყო ისეთი თვე, რომ იტალიელებს დემონსტრაცია არ გაემართათ როგორც ვენაში, ისე ტრიესტში. თხოულობდნენ ერთსადა იმავეს—უნივერსიტეტს ტრიესტში. ერთი ასეთი დემონსტრაცია იტალიელმა სტუდენტებმა 10 ნოემბერს ვენაში გამართეს. იტალიელმა სტუდენტებმა წინდაწინვე აცნობეს რექტორს ყველაფერი და სთხოვეს, დემონსტრაციისთვის სატქო დარბაზი დაეთმო. რექტორმა მათი სურვილი შეიწყნარა. თავი მოიყარა ორასამდე იტალიელმა სტუდენტმა. მოვიდნენ სეირის საყურებლად გერმანელი სტუდენტებიც. პირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა. წარმოსთქვეს მრავალი სიტყვა. მაგრამ, როდესაც იტალიელებმა „გარიბალდის ჰიმნი“ შემოსძახეს გერმანელმა სტუდენტებმა ვერ მოითმინეს და მათაც მიაყოლეს თავიანთი ჰიმნი. სიმღერას შელაპარაკება მოჰყვა, შელაპარაკებას მუშტები და ჯოხები და ბოლოს სულერთიან აირია მონასტერი. გერმანელებმა თავიანთ ამხანაგებს დაუძახეს და ორი ათასი გერმანელი სტუდენტი მიესია ორას იტალიელს. ასტყდა სროლა, რომლის დროსაც რამდენიმე კაცი მოჰკლეს და რამდენიმე დასჭრეს. ბოლოს გაჩნდა პოლიცია და მოჩხუბარნი გააშველა.

ამ ამბავმა მთელი ავსტრია აალაპარაკა. არავინ არ მოელოდა ასეთ შედეგს. გერმანელები სროლას იტალიელებს აბრალებენ, იტალიელები—გერმანელებს. დაჭრილები ორივე მხრიდან იყვნენ.

ავსტრიაზე ძალიან იტალია აალაპარაკა ამ ამბავმა. პროტესტის ნიშნად იტალიაში დროებით უნივერსიტეტები დაჰკეტეს და დემონსტრაციები გამართეს. თავიანთ სიტყვებში ორატორები საშინლად ჰკიცხავდნენ ავსტრიას. გაიხსენეს ავსტრი[illegible]ტარავლობა იტალიელები[illegible] [illegible]ვევის ავსტრიული დროშები და იმპერატორის ფრანც-იოსების სურათები. ზოგგან კიდევ ავსტრიის საელჩოებს მიესივნენ და ჯარი რომ არა, აიკლებდნენ. ამ დემონსტრაციებსა და პროტესტებში მონაწილეობა მიიღეს, სტუდენტებს გარდა, მუშებმა და ყველა პარტიამ. ზოგან ბოიკოტიც გამოუცხადეს ავსტრიის საქონელს.

* * *

საუკეთესო საბრძოლველ იარაღად გადაიქცა ამ ბოლო დროს ეს ბოიკოტი. სიძლიერე ამ იარაღისა იმაშია, რომ იმის წინააღმდეგ არავითარი საშუალება არ არის. მასიურ ბოიკოტში, ისეთში, რომელშიაც მთელი ერი და ხალხი იღებს მონაწილეობას, რას გააწყობ, რომელ ერთა დაიჭერ და დასჯი!

ბოიკოტი პირველად ირლანდიელებმა გამოიგონეს და, ეჭვი არ არის, ამ იარაღმა დიდი სამსახური გაუწია მათ იმ ბრძოლაში მდიდარ მემამულეების წინააღმდეგ, რომელიც სწორედ ეხლა უნდა დაგვირგვინდეს. შეიძლება მკითხველს მოეხსენება, რომ თითქმის მთელი ირლანდიის მიწა-წყალი ინგლისელი ლენდ-ლორდების საკუთრებას შეადგენს. გლეხი, მიწის მუშა, იქ ბოგანოა, სხვის მამულზე სცხოვრობს და მუშაობს და მისი მომავალი და ბედი მთლად მამულის პატრონზეა დამოკიდებული. მთელი წლები იბრძოდნენ ირლანდიელნი ამ ლენდ-ლორდების წინააღმდეგ და ბოლოს აიძულეს მთავრობა, მათი საქმე მოეგვარებინა: პალატამ უკვე მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც დაკანონდა იძულებითი გამოსყიდვა მამულებისა. ამ კანონის ძალით, მემამულეს არ შეუძლიან უარი სთქვას მამულის გაყიდვაზე. ასეთი კანონი თითქმის პირველი მაგალითია მთელ ევროპაში, ამიტომ დიდად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს.

ამ კანონს საფუძვლად დაედო მეორე კანონი, რომელიც 1903 წელს გამოიცა. მაშინ კონსერვატიულმა სამინისტრომ გადასწყვიტა ირლანდიაში ადგილ-მამულის საკითხის გადაჭრა და ამ აზრით განიზრახა იმ საიჯარო მამულების გამოსყიდვა, რომელზედაც სოფლის მეურნენი სახლობენ. რადგან გლეხებს თვითონ არ შეეძლოთ მამულის გამოსყიდვა, გადასწყდა ხაზინამ გადასდოს ფული იმ პირობით, რომ გლეხობამ იგი 68 წლის განმავლობაში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. გამოანგარიშებულია, რომ რაც აქამდე გლეხი იჯარაში იხდიდა ლენდ-ლორდის სასარგებლოდ, იმაზე მეტი არ გადახდება და 68 წლის შემდეგ-კი ადგილი საკუთრებად დარჩება. ხაზინამ პირველ წელიწადს 50 მილიონი მანეთი გადასდო მამულის პატრონთა გასასტუმრებლად დღემდე შეძენილ იქმნა 250 მილიონ მანეთის მამული. სულ საჭიროა ერთი მილიარდი რვაასი ათასი მილიონი მანეთი (1,800,000,000 მ). დღეიდან ყოველ წელიწადს უნდა გადაიდოს ასი მილიონი მანეთი; ამ რიგად მთელი ოპერაცია მამულების გამოსყიდვისა გათავდება 16 წელიწადში.

როგორც ვთქვით, ეს კანონი 1903 წელს გამოვიდა. ამ კანონით გამოსყიდვა ნებაყოფლობითია: მემამულე და გლეხი, მთავრობის აგენტის შუამავლობით, რიგდებიან მამულის ფასზე, ხაზინა ფულს აძლევს მემამულეს და მიწა გლეხის ხელში გადადის.

ახალი კანონი კი სავალდებულოს ჰხდის იძულებით გამოსყიდვას. ეს კანონი გამოცემულია იმათთვის, ვისაც იჯარითაც კი არა აქვს სალებული მიწა. ვთქვათ, სრულიად უმიწა-წყლო, ბოგანო გლეხმა მოისურვა მამულის შეძენა. მემამულეს არ შეუძლიან უარი უთხრას მამულის გაყიდვაზე. თუ ფასზე ვერ მორიგდნენ, იმ შემთხვევაში საქმე განსაკუთრებით ამისთვის დაწესებულმა სასამართლომ უნდა გადასჭრას და ფასი დააწესოს. აქაც, როგორც პირველ შემთხვევაში, ფულს იხდის ხაზინა და მერე გლეხი ნაწილ-ნაწილად ისტუმრებს.

ვიმეორებთ, ეს კანონი დიდად საგულისხმოა. მოგეხსენებათ, რა ამბავი ატყდა რუსეთში კადეტების პროექტის გამო, რომელიც გულისხმობდა მამულების იძულებით გამოსყიდვას. ყველაფერი გაიხსენეს მაშინ—„წმინდა უფლება კერძო საკუთრებისაც“ და ათასი სხვა რამეც. ასევე უყურებენ ამ საქმეს დღეს ევროპაში. მაგრამ აი, როგორცა ჰხედავთ, ერთი კედელი ამ სიმაგრისა უკვე შეინგრა და ინგლისში თვით მთავრობის ინიციატივით დაკანონდა იძულებითი გამოსყიდვა.

* * *

ეს საქმე რომ ავსტრალიის მთავრობას ჩაედინა, შეიძლება მკითხველს არც ისე გაჰკვირვებოდა, რადგან დღევანდელი მთავრობა ავსტრალიისა მუშებისაგან, სოციალისტებისაგან შესდგება.

ავსტრალია სულ ახალი ქვეყანაა, იგი ძველის ტრადიციებით არ არის შებორკილი და ამიტომ იმისაგან ასეთი რამ ნუ გაგიკვირდებათ. მუშები მინისტრებად იქ ეს მეორედ არიან. ავსტრალია ინგლისის კოლონიაა, მაგრამ შინაურ მართვა-გამგეობაში, როგორც ვიცით იგი წმინდა რესპუბლიკაა. წინად ავსტრალიაში ოლქები განცალკევებულნი იყვნენ და ყველას საკუთარი პალატა ჰქონდა. შვიდი წლის წინად ოლქები შეერთდნენ და, კერძო პალატებს გარდა, საერთო პარლამენტი დაიარსეს და საერთო სამინისტრო გაიჩინეს.

პირველი არჩევნები მოხდა 1901 წელს. პარლამენტში სამი პარტია გაჩნდა—კონსერვატიული, ლიბერალური და მუშებისა. კონსერვატორებს შეადგენენ მემამულენი, ხოლო ლიბერალებს—მრეწველები და მექარხნეები. პირველი სამინისტრო კონსერვატორებისა იყო, მაგრამ მათ დამოუკიდებლად მოქმედება არ შეეძლოთ, რადგან საკმაო ხმა არა ჰყავდათ. პირველ არჩევნებიდან დაწყებული დღემდე სამივე პარტიას პალატაში თითქმის თანასწორი ხმები ჰყავს, ამიტომ ვერც ერთი პარტია დამოუკიდებლად და მეორე პარტიის დაუხმარებლად ვერ აძერხებს მოქმედებას. კონსერვატორები მაშინ ლიბერალებთან შეერთდნენ.

1903 წელს მეორე არჩევნები მოხდა. პალატაში მოჰყვა 26 კონსერვატორი, 26 ლიბერალი და 23 მუშა. ამ არჩევნებში პირველად მიიღეს მონაწილეობა ქალებმა. სამინისტრო ისევ კონსერვატიული იყო და მუშაობდა კონსერვატორებისა და ლიბერალების დახმარებით. მაგრამ მალე მათ შორის კინკლაობა მოხდა და როდესაც 1904 წელს მუშათა პარტიის მეთაურმა უატსონმა წინადადება შეიტანა—უნდობლობა გამოუცხადოთ კონსერვატორების კაბინეტსაო, ლიბერალებმა მხარი დაუჭირეს, და სამინისტრო დაეცა.

ამის შემდეგ მეფის წარმომადგენელმა, გენერალ-გუბერნატორმა უატსონს მიანდო სამინისტროს შედგენა. აი მაშინ გაჩნდნენ პირველად მინისტრები დურგლები, ზეინკლები და სხვები. ამ სამინისტრომაც ვერ გასძლო დიდხანს. მუშების დეპუტატები და ლიბერალები უჭერდნენ მხარს, მაგრამ მალე ეს უკანასკნელები კონსერვატორებს შეუერთდნენ და მუშების კაბინეტი დაეცა.

1906 წელს მესამე არჩევნები მოხდა პალატაში. კონსერვატორი აირჩიეს 19, ლიბერალი 16, მუშა 26. მაგრამ ამ არჩევნების დროს გაჩნდა ახალი ჯგუფი—ანტისოციალისტები, რომელნიც კონსერვატორებს და ლიბერალებს გამოეყვნენ. ამ ჯგუფისა აირჩიეს 14 კაცი. ჯგუფში სულ მდიდარი მემამულენი და მრეწველები არიან. ეს ჯგუფი ერთად-ერთის აზრით დაარსდა—მუშათა პარტიასთან საბრძოლველად. სამინისტრო კონსერვატორებმა შეადგინეს. მათ მხარი დაუჭირეს ანტისოციალისტებმა, მაგრამ რადგან კონსერვატორებსა და ანტისოციალისტებს მარტო 33 ხმა ჰქონდათ, ესე იგი ნახევარზე ნაკლები, ამიტომ იძულებულნი გახდნენ მუშათა პარტიასთან ბლოკი შეეკრათ და ისე ემოქმედნათ. ლიბერალებთან შეერთება კონსერვატორებს არ შეეძლოთ, რადგან ეს უკანასკნელნი პროტექციონიზმის განხორციელებას სცდილობდნენ, ხოლო პირველნი დიდი წინააღმდეგნი იყვნენ და არიან ამისა. როგორცა ჰხედავთ, მეტად უცნაური შეერთება მოხდა ანტისოციალისტთა ჯგუფი სოციალისტებთან საბრძოლველად დაარსდა და სოციალისტებს კი შეუერთდა!

ბლოკმა წლევანდლამდე მოაღწია, მაგრამ ამ ერთი თვის წინად მუშები განშორდნენ კონსერვატორებსა და ლიბერალებთან ერთად უნდობლობა გამოუცხადეს კაბინეტს. კაბინეტი დაეცა. გენ.-გუბერნატორმა კვლავ მუშების მეთაურს ფიშერს დაავალა სამინისტროს შედგენა. ამ რიგად, გაჩნდა მეორე სამინისტროც მუშებისა.

კაბინეტი უკვე შესდგა. თვით პრემიერი ფიშერი წინად შოტლანდიაში მუშაობდა ქვანახშირის მაღაროში უბრალო მთხრელად. ავსტრალიაში გადასახლებისას კარგა ხანს ოქროს მაღნებში მუშაობდა, აგრეთვე უბრალო მუშად. ფიშერი უკვე იყო მინისტრად უატსონის კაბინეტში. გარეშე საქმეთა მინისტრად არის ბატჩელერი, რომელიც სოფლის მასწავლებლად იყო, ხოლო შემდეგ მაშინისტად; ფოსტა-ტელეგრაფის დირექტორად—ქვანახშირის მთხრელი ჯოსია ტომასი; სამხედრო მინისტრად (ანუ თავდაცვის მინისტრად)—დურგალი პირსი; ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრად—ტყავის ოსტატი ტიუდორი; საბჭოს ვიცე-პრეზიდენტად—ქვის მთლელი მაკ გრეგორი; უპორთფელო მინისტრად—კალატოზი ხეტჩისონი. ამათ გარდა ერთი მინისტრი ვექილია და ერთიც კიდევ ჟურნალისტი.

რა თქმა უნდა, ეს სამინისტროც ბევრს ვერაფერს გააკეთებს და თავის პროგრამას ხომ ვერ განახორციელებს. მიზეზი ამისა ის არის, რომ მისი მომხრე მხოლოდ პარლამენტის უმცირესობაა, დიდი-დიდი [illegible] ერთად იმოქმედონ.

[illegible]

დარაზების და რკინების რახუნი— ბერძნები ჰკეტავენ თავიანთ დუქნებს პროტესტის ნიშნად ოსმალთა უსამართლობის წინააღმდეგ. მაგრამ ერთის საათის შემდეგ ეს დუქნები ისევ გაიღო, რადგან არჩევნების გულისთვის მოგების დაკარგვა აბა რა ხელს მისცემდათ ბერძნებს.

პერაში წარმოუდგენელი ღრიანცელი იდგა: ბერძნებმა საშინელ ყვირილის ატეხა იციან, გეგონებათ, სულ სხვანაირი რაღაც უცნაური ყელი და ხმა აქვთო. ბერძნის პატრიარქი აშვიდებდა ხალხს; ამბობენ, პატრიარქმა ზარის რეკა აუკრძალა თავის სამღვდელოებასო, მაგრამ მღვდლები არ დაემორჩილნენ: წმ. მარიამის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიებში განუწყვეტლივ რეკვენ ზარებს და ბერძნებს იწვევენ კრებაზე. ეკლესიებში, მათ ახლო ქუჩებზე გროვდებიან ბერძნები, ხელებსა ჰშლიან, ყაყანებენ. ფანჯრიდან თავი გამოყო მღვდელმა და ლაპარაკი მოინდომა; მის ახლო ვაღაცამ ზარი დააწკარუნა, ხალხის გაჩუმება უნდოდა, მაგრამ ამაოდ! ბერძენთა ბრბოს გაჩუმება—ეს ტყუილუბრალო ოცნებაა.

მღვდელმა ლაპარაკი დაიწყო, მისი მსმენელები ყვირიან, რომ ძალმომრეობას არ მოვითმენთ, თავს გავწირავთ და შეურაცხყოფას-კი ვერ ავიტანთო. ამ ყრილობას ბევრი ოსმალოც დაესწრო; ესენი ხარხარებენ გიჟებივით ბერძენთა ბაქი-ბუქის გაგონებაზე. ამ ღრიანცელსა და ვაიუშველებელში, ფოტოგრაფი უყვირის სამრეკლოზე ზარის მრეკავს, როგორ დადგეს, როგორ დაიჭიროს ზარის თოკი.

ზარის მრეკავიც, რომელიც ეს არის ეხლა იფიცებოდა სისხლს დავღვრიო, დიდის ხალისით ასრულებს ფოტოგრაფის რჩევას; იცის, რომ მისი სურათი დახატული იქნება მთელის ქვეყნიერობის ჟურნალებში.

ასეთ ამბების გამო პოლიციამ გამოიწვია ჯარი, რომელიც დადგა გალატ-სერათის სასწავლებელთან. ამ დროს მიველ, ზრდილობიანად თავი დაუკარ დარაჯს, გაბედულად გამოუცხადე: კორესპონდენტი ვარ, მეთქი და დაუბრკოლებლივ გავიარე ჯარისკაცების მწკრივში. იქვე ახლოს ბაღში ხეებიდან ჩამოცვივნულ ფოთლებზე სხედან ჯარისკაცები. მარცხნივ ხის სახლში საქმობს საარჩევნო კომისია. საქმე დინჯად და ჩინებულად მიდის, რადგან აქ ბერძნები არ არიან. სომხები და ოსმალები აგდებენ კენჭსა: ისინი ათ-ათი კაცი ერთად შედიან, რიგ-რიგად მიდიან იმამთან (მოხელესთან), რომელიც ყურადღებით სინჯავს ყოველ ამომრჩევლის „ჰამიდიეს“. „ჰამიდიე“ არის საარჩევნო დოკუმენტი და შეიცავს მოწმობებს ამომრჩევლის დაბადებისა, ეროვნებისა და პიროვნების შესახებ და აგრეთვე მოწმობას იმის შესახებ, სამართალში ხომ არა ყოფილა მიცემული ამომრჩეველი.

იმამი სინჯავს ფურცელს, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევს მის მომტანს; თუ ყველაფერი რიგზეა, იმამი რაღაც ნიშანს უსვამს და ამომრჩეველი მიდის თავის ბიულეტენის ჩასაგდებად, ხოლო ამავე დროს მოხელე ბეჭედსა ჰკრავს ჰამიდიეს. ეს შემოწმება სულაც არაა სასტიკი: მე ვნახე, რომ 15 წლის ბიჭმა წარადგინა ბიულეტენი, თუმცა კანონით საარჩევნო უფლება არა აქვთ 20 წლისაზე ნაკლებ ხნისაებს.

სულ სხვანაირად აქვთ მოწყობილი საქმე ბერძნებს. ბევრჯელ ვეცადე, მაგრამ ერთხელაც ვერ მოვახერხე მათ საარჩევნო ნაწილებში შესვლა. ამიტომ სხვისა ნაამბობს გადმოგცემთ. ბერძნები ამბობენ, რომ საარჩევნო კომისიები საქმეს უადვილებენ ოსმალელ და სომეხ ამომრჩევლებს, ბერძნის ამომრჩევლებს კი დიდ-ძალ დაბრკოლებას უჩენენო. საარჩევნო ოთახში იმამი მეტად დაწვრილებით იძიებს ჩვენის ამომრჩევლების ვინაობას და ამით ბევრს დროს გვაკარგვინებს. ამიტომ ერთ საათში ათი კაცი ძლივს აგდებს კენჭმა. თუ საქმე ასე წავიდა, საარჩევნო ვადის გათავებამდე ბერძნების მეათედიც ვერ მოასწრობს ხმის მიცემას. ბევრი სრული წლოვანი უწლოვანოდ გამოაცხადეს! იმამ ხშირად ამტკიცებს, რომ უწყებები სწორედ არაა დაწერილიო. ამას გარდა, ბერძენთა სარჩევნო სიები ზოგი ჯერ არაა მზადა, ზოგან სავსეა შეცდომებით; სიები არ უდგება უწყებებს. განა ეს ჩვენი ბრალია? ბერძენ ამომრჩევლებს ერთი ნაწილიდან მერე საარჩევნო ნაწილში ჰგზავნიან, დროს აკარგვინებენ და ბოლოს მაინც არა გამოდის-რა. ოსმალები ათისწლის ბავშვებს ჰგზავნიან კენჭის ჩასაგდებად, ბერძნებს-კი 30 წლისებსაც არ აძლევენ უფლებას.

ოსმალები თავიანთ მხრივ ამბობენ, რომ ბერძნები ჯერ კიდევ არჩევნების წინად იმუქრებოდნენ აყალ-მაყალს ავტეხთო, ასე რომ არც ერთი მათი სიტყვა არაა დასაჯერებელი. ეს სულ მათი მღვდლების ბრალია: ჯავრი მოსდით, რომ ჩვენ სომხებთან შევთანხმდით და არა ბერძნებთან, თუმცა ესეც თითონ იმათი ბრალია, რადგან ჩვენ მათთანაც ძლიერ ვეცადენით მორიგებას. მერე იცით, როგორ აძლევენ ხმას? შედიან საარჩევნო ნაწილში, ასტეხენ ჯოჯოხეთურ ღრიალს, არ უცდიან ჰამიდიეს შემოწმებას, აგდებენ ბიულეტენებს, მერე ხელახლად იწყებენ ღრიალს, დავთრებს უბნევენ კომისიას და ცდილობენ მეორედ ჩააგდონ კენჭი. საარჩევნო ნაწილიდან გამოსვლის შემდეგ, ბერძნები შლიან ბეჭედს ჰამიდიეზე და მეორე ნაწილში მიდიან ხელახლა კენჭის ჩასაგდებად. ბერძნების ათ ჰამიდიედან სამი ყალბი გამოდგება ხოლმე. მოხუცებულების ნაცვლად ბალღებს ჰგზავნიან ხმის მისაცემად. იყო რამდენიმე შემთხვევა, რომ მკვდრების ჰამიდიე მოიტანეს ბერძნებმა. ამას გარდა, საბერძნეთის ქვეშევრდომებმაც მოინდომეს არჩევანში მონაწილეობის მიღება.

არ ვიცი, ვინა ტყუის ამათში, მხოლოდ ისკი უცილობელი ფაქტია, რომ ახალგაზდა ოსმალები მოურიგდნენ ოსმალეთის იმპერიის ყველა ერები, გარდა ბერძნებისა. ოფიციალურ აღწერის უქონლობის გამო, საარჩევნო სიები შედგენილი იყო ბერძენთა ცნობების თანახმად. ეხლა უკვე დაამტკიცეს, რომ ბერძნები წლოვანობას უმატებდნენ მცირე წლოვნებს, ხან და ხან ექვს-ექვსი წელიწადიც-კი მოუმატებიათ, თურმე. მართალია, ბერძნები აცხადებენ, რომ სტამბოლი თითქმის ბერძნის ქალაქიაო, მაგრამ რადგან ნამდვილად ბერძნები სტამბოლის მცხოვრებთა მხოლოდ მეოთხედ ნაწილს შეადგენენ, ამიტომ მათ ბევრი სიცრუე და სიყალბე სჭირდებათ თავიანთ აზრის დასამტკიცებლად.

დასასრულ კორესპონდენტი აწერს ბერძნების დემონსტრაციას და ოსმალელ ჯარის სამაგალითო მოქმედებას. კორესპონდენტი ამბობს, რომ ეს ჯარი სამაგალითოა ყოველ განათლებულ ქვეყნისთვისაც-კი. სტამბოლში სამჯერ გამოიწვიეს ჯარი დემონსტრანტების წინააღმდეგ, მაგრამ ერთხელაც არ გაუსროლიათ თოფი და ერთხელაც არ დაუღვრიათ ხალხის სისხლი.

# რუსეთი

✦ **ჩამოხრჩობა.** რუსულ გაზეთების სიტყვით, მარტო ერთ დღეს 26 ნოემბერს, მთელ რუსეთში ჩამოუხრჩვიათ და დაუხვრეტიათ 17 კაცი, ხოლო 36 კაცისთვის სიკვდილი გადაუწყვეტიათ.

✦ **ქურდობა და ბოროტმოქმედებანი.** თითქმის ყველგან და ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, სადაც-კი რევიზია დანიშნეს, ათასი ქურდობა და ბოროტმოქმედება აღმოჩნდა. ასე მოხდა მოსკოვის საადმინისტრაციო დაწესებულებებში, ტაშკენტის გზაზე და სხვაგან. როგორც ეხლა იუწყებიან, ბოროტმოქმედებანი, ტაშკენტის გზას გარდა, მთელ მცირე აზიის გზებზე აღმოუჩენიათ.

✦ **პროფ. პეტრაჟიცკის დათხოვნა.** პეტერბურგში ხმა დადის, რომ მთავრობა ითხოვს ცნობილ პროფესორს სახელ. სათათბიროს წევრად ნამყოფს პეტრაჟიცკის. მიზეზი ის არის, რომ კონსტ.-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნის.

✦ **შეკითხვა ებრაელებზე.** მემარჯვენეებს სათათბიროში შეკითხვა შეუტანიათ ებრაელებზე.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივანე სოზიაშვილი.**


# განცხადებანი

**ექიმი ჟ. მ. ჩიქოვანი**

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად საკუთარს სახლში, N 15; ავადმყოფებს იღებს 12—2 საათამდის ყოველ დღე. (25—591—18)

# სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საშ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ. ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგ. ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 11 ნახ. ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—82)

**მაქვს პატივი, ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე**

# ფეხსაცმელების სახელოსნო

ვამზადებთ ყოველნაირ საქონელს შეღავათიან ფასებში, ვასრულებთ სუფთად, მაგრად და დანიშნულ ვადაზე. ვკისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა, N 28.

პატივისცემით

(20—6.—2) **ივ. ხვ. ბერძნიშვილი.**

სრული პასუხისმგებლობით — სრული პასუხისმგებლობით



**1908 წლის 18 ნოემბრიდან ქ. ტფილისში გამოდის**

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

# ●●●: დროება :●●●

ერთი წლით ღირს 7 მან., ექვსი თვით—4 მ. 50 კ., 1 თვით 90 კაპ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე.

**ხელის მოწერა შეიძლება:** ტფილისში: „დროების“ რედაქციაში (დიდი ვანქის ქუჩა N 12); „ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების“ მაღაზიაში მიღ. ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ., თავად აზნაურთა ქარვასლა).

# შედგენილი გრ. ჩარკვიანისაგან

**ქართველთათვის, კათოლიკეთათვის, სომეხთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.**

# კედლის კალენდარი

# 1909

**გამოცემა ამხ. „ხორაპანისა“.**

**ფასი 40 კაპ.**

კედლის კალენდრის კარდონზედ დახატულია საზოგადო მოღვაწეთა სურათები. სხვათა შორის მოთავსებულია მეფე **ვახტანგ მეექვსეს სურათი** 200 წ. სტამბის დაარსების გამო საქართველოში და აკაკის სურათი მისი 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს გამო. ტფილისში კალენდრები იყიდება: წერა კითხვის გამავრცელებელ წიგნის მაღაზიაში, „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში, „ალიონის“ წიგნის მაღაზიაში, „რეჩის“ წიგნის მაღაზიაში და სხვაგან.

დაიბეჭდა და 28 ამ თვეს გამოვა გასასყიდად **ჯიბის კალენდარი** 1909 წ., შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. კალენდარში მოთავსებულია, სხვათა შორის, ბელეტრისტული ნაწარმოები აკაკისა, სამეცნიერო წერილი ივ. გომართელისა, ისტორიული ცნობანი ზ. ჭიჭინაძის და სხვა. კალენდარში მოთავსებულია 30-მდე სურათი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა. ფასი კალენდრისა 20 კაპ.

კალენდრის გამყიდველებს დაეთმობათ 20, 25 და 30 პროცენტი იმის და მიხედვით, ვინ რამდენს იყიდის ერთად.

ადრესი კალენდრების საწყობისა: ტფილისი, სტამბა „ხორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს. (10—6—4)



1865 წ. 1870 წ. 1882 წ. 1896 წ.

# ამხანაგობა

# რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურისა

# ფირმით

# ●●: სამკუთხი :●●

# პეტერბურგში

სატეხნიკო ნივთები.

რეზინის ღვედები.

რეზინისა და პენკის მილები.

აზბესტის ნაწარმოები.

აზბესტის კარტონი.

ქირურგიული და საექიმო ნივთები.

წამოსასხამები და პალტოები.

გარეზინებული მატერიები.

ველოსიპედის შინები და კუთვნილებანი:

რეზინის სათამაშოები.

ბ უ რ თ ე ბ ი.

რეზინის ნაბოიკა.

კ ა ლ ო შ ე ბ ი.

რეზინის ყოველგვარი ნაწარმოები და ნაწარმოები ძველის რეზინისა.

# გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამ დაღს:

1860. Т.Р.А.Р.М С.ПЕТЕРБУРГЪ.

ყოველგვარ შეკითხვით და საქონლის დასაკვეთად მსურველებმა უნდა მიმართონ

**სავაჭრო სახლს „ლეოპოლდ ნეიშელლერი“,**

ტფილისი, ერევნის მოედანი, კავკასიის საზოგადოების სახლი.

პრეის-კურანტებს პირველსავე მოთხოვნილებისთანავე უფასოდ ეგზავნება. (10 ... —1)



# ●●: „გ რ ა მ ო ფ ო ნ ი“ :●●

გოლოვინის პროს., № 9. **ტფილისის განყოფილება** გოლოვინის პროს., № 9.

# ე რ ი დ ე თ ს ი ყ ა ლ ბ ე ს!!!

**ყურადღება მიაქციეთ აქ დახატულ საფაბრიკო ნიშანს, რომელიც ყველა ჩვენ გრამოფონსა აქვს!!!**

**გრამოფონი** საუკეთესო გასართობია სახლში!!! მღერის, ლაპარაკობს, უსტვენს, თამაშობს და სხვ. შეძლებას იძლევა ყოველ დროსა და ჟამს, ყური დაუგდოთ საუკეთესო მომღერლის ხმას და სხვა და სხვა კონცერტებს. ყველას შეძლებას აძლევს, გაინვითაროს სმენა და გაიმდიდროს მუსიკალური ცოდნა. შეძლებას აძლევს ყველას, გამართოს თავის სახლში საცეკვაო საღამოები. აღვიძებს მუსიკისადმი სიყვარულს. სასარგებლოა არა მარტო როგორც გასართობი, არამედ აღზრდის საქმეშიაც. იგი სახელია ჩვენი მოლაპარაკე მაშინებისა.

**ფასები მთელი რუსეთისთვის, კავკასიისთვის და იმიერ-კასპიის მხრისთვის ერთნაირია —შეუვაჭრებლად.**

ყველა ფირფიტა, რომელიც ჩვენ მიერ დაწესებულ ფასებზე იაფად იყიდება, ან ყალბია ან ძველი, უკვე ნახმარი, და ასეთ ფირფიტებისთვის პასუხის-მგებლობას ვერ ვკისრებთ.

**მიღებულია აპარატები სულ ახალ კონსტრუქციისა** საუკეთესო მექანიზმით და ახალ მოდელებთან.



**მიღებულია აუარებელი გურული ხმები.**

მოითხოვეთ ნახატი კატალოგები აპარატებისა და სია ფირფიტებისა, რომლებიც იძლევა და იგზავნება უფასოდ.

TRADE MARK "GRAMMOPHON"

ვისაც ინტერესება და სურს,

საზოგადოება თხოვს დაურიდებლად მობრძანდეს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპ., № 9, სადაც აპარატების და ფირფიტების მოსმენა შეუძლიათ.

**აპარატები იძლევა სამი წლის პასუხის-მგებლობით!!!**

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ის ფირფიტები, რომლებშიაც ჩაწერილია ... ქართული მომღერლების ... და კოცნის.

**ამა წლის 1 დეკემბრიდან გაიყიდება ორ-მხრივ ფირფიტები ... ფირფიტა 75 კაპ. და გრანდი 1 მ. 50 კ.**

# ე რ ი დ ე თ ს ი ყ ა ლ ბ ე ს!

(15—6—6)